

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს აგრიტორეიდ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის

ქ. თბილისი

2023 წ.

შინაარსი:

- 2 სრული შემოსავლის ანგარიშგება**
- 3 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**
- 4 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება**
- ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული**
- 5 საადრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები**

შპს აგრიტორეიდ (ს.5405313254)

სრული შემოსავლისა ანგარიშგება 2022 წლისთვის

		2 022	2 021
საოპერაციო შემოსავალი	9	6 714 563	12 035 467
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(334 671)	(485 367)
რელიზ. საქონლის თვითღირებულება		(6 032 556)	(10 961 929)
Total operating income (expenses)		347 336	588 171
საპროცენტო შემოსავალი	13	38 102	62 126
საპროცენტო ხარჯი	14	(74 810)	(69 048)
არასაოპერაციო შემოსავალი		57 697	-
არასაოპერაციო ხარჯი		(123 773)	(108 268)
მოგება დაბეგვრამდე		244 552	472 981
მოგების გადასახადი		(37152)	0
წმინდა მოგება		207 400	472 981
Other comprehensive income			
Total comprehensive income for the year		207 400	472 981

შპს აგრიტორიკ (ს.ნ405313254)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	Notes	2022	2021
Assets			
Current assets			
ფულადი სახსრები	1	67 749	950 136
სასაქონლო მარაგები	2	1 184 277	909 677
მოთხოვნები	3	481 389	1 378 355
საფინანსო მოთხოვნა		-	-
პროცენტის მოთხოვნა		-	-
გადახდილი ავანსები		17 868	-
მიღებული ავანსები		0,30	-
საგადასახადო აქტივი		583	-
Total current assets		1 751 866	3 238 168
Non-current assets			
ძირითადი საშუალებები	4	1 131 997	1 103 850
ძირითადი საშუალებების ცვეთა		-	-
Total non-current assets		1 131 997	1 103 850
Total assets		2 883 863	4 342 018
Liabilities and equity			
Current liabilities			
ვალდებულება	5	(44 690)	(860 868)
მიღებული ავანსები	6	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	-	(830 000)
საგადასახადო ვალდებულება		(12 714)	(892)
დივიდენდის ვალდებულება	8	-	-
Total current liabilities		(57 404)	(1 691 760)
Non-current liabilities			
საგრანტო ვალდებულება			
გრძელვადიანი სესხი	8	(1 619 980)	(1 335 390)
Total non-current assets		(1 619 980)	(1 335 390)
Equity			
კაპიტალი		(36 767)	(36 767)
მოგება		(1 169 712)	(1 278 102)
რეზერვები და დაფინანსება		-	-
Total equity		(1 206 479)	(1 314 869)
Total liabilities and equity		(2 883 863)	(4 342 018)

შპს აგრიტორეიდ (ს.5405313254)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2022 წლისთვის

	კაპიტალი	მოგება/ზარალი	რეზერვები	დივიდენდი	სულ კაპიტალი
As at 31 December 2021	36 767	1 278 102	-		1 314 869
კაპიტალის გაზრდა/ შემცირება	-	-			-
მოცემული პერიოდის მოგება	-	207 400		(315 790)	(108 389)
As at 31 December 2022	36 767	1 522 653	-	-	1 206 479

1. ზოგადი ინფორმაცია

მპს აგრიტორიდი (ს.ნ405313254) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი რეგისტრირებულია საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №80, (ნაკვეთი №1/34), სართული 3, ბ. 7, ბლოკი 5. საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა თბილისის შესყიდვა, ადგილზე რეალიზაცია და ექსპორტი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმომ მსს ფასს გამოიყენა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები	2 პროცენტი
მანქანა-დანადგარები	10-50 პროცენტი
ოფისის აღჭურვილობა	20-34 პროცენტი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	14-50 პროცენტი
ავტომანქანები	14-20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი

იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი

მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	შემოსავალი ადგილობრივი რეალიზიციიდან	4591896	3687557
2	შემოსავალი ექსპორტიდან	2106035	8323999
3	შემოსავალი მომსახურებიდან	16632	23911
	სულ ამონაგები	6714563	12035467

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	შრომის ანაზღაურება	100081	74948
2	საოფისე ინვენტარი	775	3644
3	კომუნიკაციის ხარჯები	1414	1041
4	დაზღვევა	301	6191
5	რემონტი	0	157
6	ცვეთა და ამორტიზაცია	61677	51651
7	სხვა საგადასახადო ხარჯი	11367	10791
8	კომუნალური ხარჯი	15899	10816
9	სხვა საერთო ხარჯი	143157	326128
	ჯამი:	334671	485367

5. მარაგი

	დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1	თხილი გაუტეხავი -კგ	1177471,18	833146	120
2	პეკანის კაკალი -კგ	4 500,58	61718	76947
3	თხილის ნაჭუჭი	0	0	1398
4	პლასტმასის ყუთი 60*40*11	1 127,12	14814	0
5	პოლიპროპილენის ტომარა UDD	720,34		
6	პალეტის შესაფუთი ფირი 50/250	457,63		
	ჯამი	1184276,85	909677	78465

6. ძირითადი საშუალებები

პერიოდი	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილო ბა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ჯამი
2021 წლის 31 დეკემბერი	13 422	-	608 334	443 169	16 543	4 740	82 853	1 169 061
შემოსავალი		-	-	48 976	847	-	40 000	89 824
გასავალი								-
2022 წლის 31 დეკემბერი	13 422	-	608 334	492 145	17 390	4 740	122 853	1 258 885
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	21 968	31 597	3 440	1 513	8 285	66 803
წლის ცვეთა			20 278	32 260	2 955	660	5 524	61 677
ცვეთის აღდგენა		-				-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	42 245	63 858	6 395	2 173	13 809	128 480
საბალანსო ღირებულება 2022 31.12	13 422	-	566 089	428 287	10 995	2 567	109 044	1 130 405

7. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკის სესხებს, რომლიც უნდა დაიფაროს ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღიდან 12 თვის ვადაში.

8. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საწარმოს დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს შპს ჯორჯიან პროდაქტ რენესანსი.

	2021 წელი	2021 წელი
რეალიზაცია შპს ჯორჯიან პროდაქტ რენესანს	3794360 ლ	1173005ლ

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი



29.09.2023

შპს აგრიტრეიდ (ს.6405313254)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	Notes	2022	2021
Assets			
Current assets			
ფულადი სახსრები	1	67 749	950 136
სასაქონლო მარაგები	2	1 184 277	909 677
მოთხოვნები	3	481 389	1 378 355
საფინანსო მოთხოვნა		-	-
პროცენტის მოთხოვნა		-	-
გადახდილი ავანსები		17 868	-
მიღებული ავანსები		0,30	-
საგადასახადო აქტივი		583	-
Total current assets		1 751 866	3 238 168
Non-current assets			
ძირითადი საშუალებები	4	1 131 997	1 103 850
ძირითადი საშუალებების ცვეთა		-	-
Total non-current assets		1 131 997	1 103 850
Total assets		2 883 863	4 342 018
Liabilities and equity			
Current liabilities			
ვალდებულება	5	(44 690)	(860 868)
მიღებული ავანსები	6	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	7	-	(830 000)
საგადასახადო ვალდებულება		(12 714)	(892)
დივიდენდის ვალდებულება	8	-	-
Total current liabilities		(57 404)	(1 691 760)
Non-current liabilities			
საგრანტო ვალდებულება			
გრძელვადიანი სესხი	8	(1 619 980)	(1 335 390)
Total non-current assets		(1 619 980)	(1 335 390)
Equity			
კაპიტალი		(36 767)	(36 767)
მოგება		(1 169 712)	(1 278 102)
რეზერვები და დაფინანსება		-	-
Total equity		(1 206 479)	(1 314 869)
Total liabilities and equity		(2 883 863)	(4 342 018)

დირექტორი

29.09.2023



სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის

		2 022	2 021
საოპერაციო შემოსავალი	9	6 714 563	12 035 467
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(334 671)	(485 367)
რეალიზ. საქონლის თვითღირებულება		(6 032 556)	(10 961 929)
Total operating income (expenses)		347 336	588 171
საპროცენტო შემოსავალი	13	38 102	62 126
საპროცენტო ხარჯი	14	(74 810)	(69 048)
არასაოპერაციო შემოსავალი		57 697	-
არასაოპერაციო ხარჯი		(123 773)	(108 268)
მოგება დაზღვევამდე		244 552	472 981
მოგების გადასახადი		(37152)	
წმინდა მოგება		207 400	472 981
Other comprehensive income			
Total comprehensive income for the year		244 522	472 981

დირექტორი

29.09.2023



შპს აგრიტრეიდ (ს.6405313254)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლისთვის

	კაპიტალი	მოგება/ზარალი	რეზერვები	დივიდენდი	სულ კაპიტალი
As at 31 December 2021	36 767	1 278 102	-		1 314 869
კაპიტალის გაზრდა/ შემცირება	-	-			-
მოცემული პერიოდის მოგება	-	207 400		(315 790)	(108 390)
As at 31 December 2022	36 767	1 522 653	-	-	1 206 479

დირექტორი

29.09.2023

